



ქვეყნის მრჩეველთა ჯგუფის მე-3-ე შეხვედრა
24 ნოემბერი, 2016
სასტუმრო „ბეტსი“, მაცაშვილის 32-34. თბილისი, საქართველო

შეხვედრის ანგარიში

ბატონი სერგეი ანაგნოსტი, პროგრამის გუნდის ხელმძღვანელი მიესალმა და მადლობა გადაუხადა ქვეყნის მრჩეველთა ჯგუფის მე-3-ე შეხვედრის მონაწილეებს და სიტყვა გადასცა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წარმომადგენელს ბატონ თეიმურაზ მელქაძეს. ბატონი მელქაძე ასევე მიესალმა მონაწილეებს და აღნიშნა, რომ მოხარულია უმასპინძლოს შეხვედრას. მან ხაზი გაუსვა პროგრამის მიმდინარეობის მნიშვნელობას ქვეყანაში, სამომავლო განვითარება სამოქალაქო უსაფრთხოებისა და კატასტროფების რისკის მართვის სფეროში კარგ თანამშრომლობას და ორივე მხარის ევროკავშირის სტანდარტებთან და სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმთან დაახლოების სურვილს. ეს პროგრამა აძლევს კარგ შესაძლებლობას, იმის გასარკვევად თუ სად ვიმყოფებით ეხლა და რა მიმართულებით გვინდა წასვლა სამომავლოდ.

ბატონმა ანაგნოსტიმ გააკეთა მოკლე მიმოხილვა პროგრამის ფარგლებში 2016 წლის საქმიანობებთან და მიღწევებთან დაკავშირებით. რეგიონული პროგრამის ძირითადი მიზანი არის 6 ქვეყნის (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ბელორუსი, მოლდოვეთი და უკრაინა) სამოქალაქო უსაფრთხოების შესაძლებლობების გაძლიერება და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება ექვსი ქვეყნიდან სამმა ქვეყანამ (მოლდოვეთი, უკრაინა და საქართველო) უკვე მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას.

საქართველოში გამოყოფილი იქნა შემდეგი თემატური მიმართულებები და პრიორიტეტები, რომელიც უნდა იქნას მიღწეული პროგრამის ფარგლებში:

- წყალდიდობის რისკის მართვა
- კატასტროფების რისკის შეფასება
- კატასტროფების მიერ ზარალის მონაცემების დათვლა
- მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერა
- INSPIRE დირექტივებთან მიახლოება
- ელექტრონული რეგიონული რისკის ატლასი

განხორციელებული საქმიანობების გარდა, დამატებით პროგრამის ფარგლებში ასევე გამოიყენება ვიზუალური მასალები, როგორცაა ბანერები, ლიფლეტები, ელ. გაზეთები, ვებგვერდი და Facebook-ს გვერდი

პროგრამის ფარგლებში საქმიანობების მხარდაჭერის მიზნით რეგიონში და პარტნიორ ქვეყნებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები. ერთერთი მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, ეს არის სამოქალაქო უსაფრთხოების ექსპერტთა გაცვლის პროგრამა. რაც შეეხება ელექტრონული რეგიონული რისკის ატლასს, მხარდაჭერა იქნა განხორციელებული მიმდინარე ატლასთან დაკავშირებით და ასევე განხორციელდება მხარდაჭერა სამომავლოდაც განახლებულ ატლასზეც. ამასთან დაკავშირებით ჩატარდება ტრენერთა ტრენინგი და თავის მხრივ მომზადებული ტრენერები გადაამზადებენ თავიანთ კოლეგებს თავიანთ ქვეყნებში. შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, რომ კატასტროფების მიერ ზარალის მონაცემების დათვლა შეტანილია განახლებულ ელექტრონულ რეგიონულ რისკის ატლასში.

კატასტროფების მიერ ზარალის მონაცემების დათვლის სამუშაო ჯგუფი უკვე ჩამოყალიბებულია საქართველოში. მონაცემები მოიცავს ასევე ბუნებრივ საფრთხეებსაც და ინფორმაციის ნაწილი არის დაფარული. ყველა სამინისტროზე გაგზავნილი იქნა მოთხოვნა ყველა სახის ზარალის მოწოდებასთან დაკავშირებით და მოწოდებული ინფორმაცია შეყვანილი იქნება სისტემაში. 2016-2018 სამუშაო გეგმისა და კატასტროფების მიერ ზარალის მონაცემების დათვლის სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში მოხდება ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. კატასტროფების მიერ ზარალის მონაცემების დათვლა იქნება განახლებული და მთლიანად ასახავს სენდაის ჩარცო ხელშეკრულების ინდიკატორებს. საქართველოსთვის ძირითადი მიზანი არის გახდეს ლიდერი კატასტროფების მიერ ზარალის მონაცემების დათვლის მოთხოვნებისა და ახალი ინდიკატორების გამოყენების სფეროში.

ბატონმა მაიკლ ელმგუისტმა პროგრამის მთავარი ექსპერტი, აღნიშნა პროგრამის ფარგლებში ტრენინგების წარმატებით დასრულებასთან (დარჩენილია კიდევ 1 ტრენინგის ჩატარება) და სამაგიდო ვარჯიშის ჩატარებასთან დაკავშირებით ყველა პარტნიორ ქვეყანაში. მან ასევე აღნიშნა, რომ 2017 წლის მარტში დაგეგმილია რეგიონული სამაგიდო ვარჯიშის ჩატარება. სამაგიდო ვარჯიში იქნება იგივე სცენარზე დაფუძნებული, რომელიც უნდა განხორციელდეს დიდი მასშტაბის სავარჯიშოს დროს მოლდოვაში. სამაგიდო ვარჯიშში ჩართულნი იქნებიან ყველა პარტნიორი ქვეყნის გადაწყვეტილებების მიმღები პირები და ასევე ქ. ბრიუსელის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკოორდინაციო ცენტრი. რეკომენდირებულია, რომ პარტნიორმა ქვეყნებმა გამოიყენონ კრიზისების მართვის ოპერატიული ცენტრი, ვინაიდან მოხდეს მაქსიმალურად რეალური სავარჯიშოს ჩატარება. სამაგიდო ვარჯიშის დროს მონაწილეები გაეცნობიან სცენარს (მიწისძვრა მოლდოვაში) და ყურადღება მიექცევა ინფორმაციის გაცვლას, დახმარების მოთხოვნას და დახმარების შეთავაზებას. სავარჯიშო, რომელიც ჩატარდება 2017 წლის სექტემბერში, იქნება სამაგიდო ვარჯიშის გაგრძელება. ყველა პარტნიორი ქვეყნის გუნდი ჩამოვა მოლდოვაში

შერჩეული ევროკავშირის ქვეყნების სამაშველო გუნდებთან და ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების ექსპერტებთან ერთად. გუნდებს მოუწევთ სამძებრო-სამაშველოსთან, წყალდიდობის დროს სამაშველოსთან, სამედიცინო საკითხებთან და სახიფათო მასალების დაღვრის შედეგად დაზარალებულ ადამიანებთან რეაგირება.

მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებული ქვეყანა, რომელიც მოითხოვს სხვა ქვეყნებიდან დახმარებას, იქნება მზად მიიღოს სამაშველო გუნდები და შესაბამისი დახმარება დროულად და მოთხოვნილი ხარისხით დამხმარე ქვეყნებიდან. მასპინძელი ქვეყნის მხარდამჭერის კონცეფცია განსაზღვრავს სხვადასხვა სამინისტროს ყველა მონაწილე მხარის როლებსა და პასუხისმგებლობებს მანამ, სანამ კატასტროფა მოხდება და კატასტროფების მართვის დროს. მასპინძელი ქვეყნის მხარდამჭერი სამაგიდო სავარჯიშოს დროს განხილული იქნა სხვადასხვა საკითხები, იმისათვის რომ გამარტივდეს ქვეყნებიდან დახმარების მოთხოვნისა და მიღების პროცესი. სავარჯიშოს დროს ასევე მიეცა რეკომენდაციები საქართველოში განსახორციელებელ საკითხებთან დაკავშირებით.

ბატონმა თემურმა აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში. ეს იყო საქართველოს ერთერთი პრიორიტეტი და ასევე ეს იყო ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების პრიორიტეტი და ამის შესაბამისად საქართველომ ევროკავშირისა და გაეროს ნიმუშების შესაბამისად შეიმუშავა სამთავრობო დადგენილება. პროგრამის ექსპერტებმა განიხილეს დადგენილების სამუშაო ვერსია და შეიტანეს კომენტარები, რომელიც იქნა მოწონებული საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ექსპერტების მიერ. საქართველოში ჩამოყალიბებულია მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის სამუშაო ჯგუფი.

კიდევ ერთი დოკუმენტი რომელიც მუშავდება, არის გაერთიანებული მართვის სისტემა. საქართველოს აქვს ეროვნული რეაგირების გეგმა, მაგრამ სამწუხაროდ მართვის სისტემა არ იყო შეტანილი. შემდეგი დოკუმენტი არის რისკების მართვის პროცედურები, რომელიც იქნება მთავრობის დადგენილება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ დაველოდებით პროგრამის ექსპერტების რეკომენდაციებსა და კომენტარებს. კიდევ ერთი ნორმატიული აქტი არის სამოქალაქო დაცვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების კონტროლი. ზოგადად ეს არის ჩვენი საკანონმდებლო ბაზა. შემუშავებულია და მომზადებულია 53 მთავრობის დადგენილება და მზად არის დასამტკიცებლად.

„დ“ საქმიანობის პრეზენტაციის დროს, რომელიც წარდგენილი იქნა ბატონი ანტონინ პეტრის მიერ, აღინიშნა რომ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა საქმიანობები. ეროვნული კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების სფეროში, რომელიც მოიცავს კატასტროფების შესახებ ცნობადობის ამაღლებას, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა რეგიონული სამუშაო შეხვედრა. ბატონმა თემურმა მონაწილეებს აცნობა, რომ

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო გამოიყენებს კატასტროფების შესახებ ცნობადობის ამაღლებისათვის სხვადასხვა მიდგომებს და შემდეგ შეიმუშავებს ეროვნული კომუნიკაციის სტრატეგიას. ამასთან დაკავშირებით სააგენტოს აქვს მჭიდრო თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, იმისათვის რომ მოხდეს სკოლების კატასტროფების რისკის შემცირების/სამოქალაქო უსაფრთხოების სასწავლო პროგრამის მომზადება. ეს გადაწყვეტილება ჩანიშნული იქნა პროგრამის ექსპერტების მიერ. რაც შეეხება ჟურნალისტებთან დაწყებული მუშაობის გაგრძელებასთან დაკავშირებით, პროგრამის ფარგლებში მოეწყო რეგიონული სამუშაო შეხვედრა ჟურნალისტებსა და კომუნიკაციის ექსპერტებს შორის. ჟურნალისტები ასევე მოწვეულნი იქნებიან რეგიონულ სამაგიდო სავარჯიშოზე და ასევე სრულ მასშტაბიან საველე სავარჯიშოზეც. პროგრამის ექსპერტები ასევე სთავაზობენ პროგრამის კოორდინატორებს, რომ მოიწვიონ ჟურნალისტები სხვადასხვა შეხვედრებზე (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.)

ბატონმა პეტრმა წარადგინა მოხალისეობრიობა სამოქალაქო დაცვის სფეროში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოხალისეობრიობა არის პრიორიტეტი საქართველოსთვის, რომელიც ძალიან ნათლად გამოჩნდა გასულ წელს თბილისი წყალდიდობის დროს. პროგრამის ფარგლებში სამოქალაქო დაცვის მოხალისეობრიობის გასაცნობად მოეწყო სასწავლო ტური ევროკავშირის წევრ ორ ქვეყანაში - ფინეთი და დანია. ტურის ძირითადი მიზანი იყო, მოხალისეების დაზღვევის სქემის გაცნობა, მოხალისეების მობილიზაცია, სხვადასხვა ორგანიზაციებში მოხალისეებთან თანამშრომლობის საკითხი და ა.შ. ეს იყო შევითხვებისა და გამოცდილების გაზიარების ერთერთი საუკეთესო შესაძლებლობა. სამომავლოდ იგეგმება რეგიონული სამუშაო შეხვედრის მოწყობა, სადაც საქართველოც მიიღებს მონაწილეობას.

დასკვნა

შეხვედრის ბოლოს ბატონმა მელქაძემ გამოთქვა მოლოდინი, რომ მომავალი წელი, კარგი თანამშრომლობისა და საქმიანობების კუთხით, იქნება უფრო პროდუქტიული და აქტიური. ეს დაეხმარება ქვეყანას ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების სტანდარტებთან და მექანიზმებთან დაახლოებაში.